



ლალი

ფაფიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/შედეგა

2

1996-2004 წლებში ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი მუშაობდა საქართველოს პარლამენტში სხვადასხვა პოზიციაზე: იყო პარლამენტის თავმჯდომარის პირველი თანაშემწე, 2004-2007 წლებში - პარლამენტის წევრი. 2007-2017 წლებში ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, 2016-2017 წლებში კი ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. 1998 წლიდან დღემდე კანდიდატი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

11

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული პილდოები / სტიპენდიები

12

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

13

კანდიდატის საპროექტო პირობები / კონსილიები და შედეგა

14

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

19



ლია
საუკოაოაის
ფინელი

1

კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: გამოხატვის თავისუფლება. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.¹

ფაქტები: მოცემულ საქმეში, მოსარჩელები სადავოდ მიიჩნევდნენ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სხვადასხვა ნორმის შესაბამისობას კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების უმრავლესობა არაკონსტიტუციურად მიიჩნია კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის მონაწილეობით, განმარტა და ყურადღება გაამახვილა არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე, რომელთაგან წინამდებარე დოკუმენტში ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას:

სამართლებრივი საკითხი: შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლების არაკონსტიტუციურობა.

● „სადავო ნორმა კანონის დარღვევით მიმდინარე შეკრების (მანიფესტაციის) შეწყვეტას ითვალისწინებს გაფრთხილების და კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგრძელების შესაძლებლობის მიცემის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა შერჩეული“.

სასამართლოს მსჯელობა გახდა ნორმის ამ შინაარსით არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.

სამართლებრივი საკითხი: შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება და ყოფილიყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი.

სასამართლომ საკითხის მსგავსი რეგულირება არაკონსტიტუციურად მიიჩნია და აღნიშნა, რომ:

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- „საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების პოლიტიკურ საქმიანობაში შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგრამ სადავო ნორმის მიღების ლეგიტიმური მიზანი ვერ დაეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლს მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის ქმედება არ წარმოადგენს პოლიტიკური ხასიათის საქმიანობას. სადავო ნორმა ბლანკეტურ აკრძალვას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უკრძალავს შეკრებების ინიცირებას და ორგანიზებას“.

სამართლებრივი საკითხი: შეკრების და მანიფესტაციის ორგანიზების და ჩატარების დროს დაუშვებელია „მოწოდება კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ“.

საკონსტიტუციო სასამართლომ მსგავსი მოწოდებების შეზღუდვა მიიჩნია კონსტიტუციასთან შესაბამისად, თუმცა შემოგვთავაზა მისეული ხედვა ნორმის გონივრული განმარტების თაობაზე. სასამართლომ ასევე იმსჯელა მოწოდებით გამოწვეული რეალური საფრთხის არსებობის აუცილებლობაზე და განმარტა:

- „კონსტიტუციური წყობილების დამხობა ყოველთვის ძალადობრივ ქმედებას უკავშირდება. დამხობა მიმართულია კონსტიტუციის საწინააღმდეგო და არაკანონიერი მეთოდებით არსებული წყობილების განადგურებისაკენ და, შესაბამისად, ძალადობის ელემენტსაც შეიცავს. [...] დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების, კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის ფორმის და წყობილების შეცვლა მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გზით არის შესაძლებელი. ცვლილების განხორციელების ნებისმიერი სხვა ფორმა დემოკრატიული საზოგადოების არსებობას უქმნის საფრთხეს და ძალადობრივ ხასიათს ატარებს“.
- „ამავე დროს, ხელისუფლების „დამხობა“ არ უნდა იქნეს გაიგივებული ცვლილებებთან, რომელიც, შესაძლოა, მშვიდობიანი ხასიათის შეკრებებს ან მანიფესტაციებს მოჰყვეს შედეგად. მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბონ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლას. არსებითად არასწორია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ასეთი პროცესის „ხელისუფლების დამხობასთან“ გაიგივება, მასთან გათანაბრება“.
- „სადავო ნორმის გონივრული წაკითხვის შემთხვევაში, დაწესებული შეზღუდვა [ტერმინი „მოწოდება“] კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების განზრახვას ან/და ასეთი ქმედებისაკენ წაქეზებას უკავშირდება“.
- „საპროტესტო აქციას, რომელზეც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხი იყრის თავს, ახასიათებს ხელისუფლების შეცვლის ან მის გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები. ამგვარი კრიტიკული განცხადებები არ წარმოადგენს სადავო ნორმის რეგულირების სფეროს. სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არც ის გამონათქვამები განეკუთვნება, რომლებიც ფორმალურად „დამხობისკენ მოწოდების“ სიტყვებს შეიცავენ, მაგრამ კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვები იქნა წარმოთქმული, მათი ნამდვილი არსი და მიზანმიმართულება არ იძლევა კანონის დარღვევის დადგენის საფუძველს [არ ქმნის რეალურ საფრთხეს]“.
- ვაზაგაშვილის საქმე²

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის 1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სამართლებრივი საკითხი: გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვა ახლო ნათესავების მიერ. გამომხატვის თავისუფლება.

ფაქტები: გასაჩივრებული ნორმის იმ დროს მოქმედი რედაქცია კრძალავდა სასამართლო დავას, რომელიც ეხებოდა გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. მოსარჩელე, იური ვაზაგაშვილი, მიიჩნევდა, რომ მას არ შეეძლო სასამართლოში ედავა, მისი გარდაცვლილი შვილის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელების თაობაზე, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია, კანდიდატის მონაწილეობით, არ დაეთანხმა მოსარჩელეს და სადავო ნორმები კონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

● **პირადი არაქონებრივი უფლებების სუბიექტი**

სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გარდაცვლილი პირის კეთილი ხსოვნის შენარჩუნებას. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად მისი გადაწყვეტილებისა, ეს არ ნიშნავდა იმის დაშვებას, მოტივირებას ან ხელშეწყობას, რომ გარდაცვალების შემდეგ თავისუფლად ხდებოდეს პირის დაუსაბუთებელი ბრალდება, მასზე არსებითად მცდარი განცხადებების გავრცელება. თუმცა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლების პერსონიფიცირებულ ხასიათზე და განმარტა:

- „ზოგადად, უფლებების განსხვავებული შინაარსისგან დამოუკიდებლად, მათ აერთიანებთ ერთი თვისება; ისინი პირადი ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ განეკუთვნება კონკრეტულ პიროვნებას და არავის სხვას, ნათესაური კავშირისა და სიახლოვის ხარისხისგან დამოუკიდებლად (თუნდაც მშობელს ან შვილს). უფლებების პერსონიფიცირებული ხასიათი, პირველ რიგში, სწორედ იმას გულისხმობს, რომ ის ეკუთვნის კონკრეტულ, თითოეულ ინდივიდს და, მაშასადამე, არ/ვერ ეკუთვნის სხვას, შესაბამისად, ერთი პირის უფლებით ვერ ისარგებლებს სხვა, ისევე, როგორც კონკრეტული ინდივიდის უფლება ვერ დაერღვევა სხვას. ასეთი შესაძლებლობის დაშვება პირადი უფლების ბუნების საწინააღმდეგოა, ფიტავს მის არსს, უფლება ვერ იქნება პირადი, თუ მისით სარგებლობს სხვა. უფლებები პერსონალური ხასიათისაა და დაკავშირებულია უშუალოდ მათ მფლობელთა ცნობიერებასთან, აღქმასთან“.
- „მხოლოდ უფლების მატარებელს შეიძლება ჰქონდეს ყველაზე ობიექტური განცდა, აღქმა, შეგრძნება საკუთარი უფლების დარღვევისა (სავარაუდო დარღვევისა), შედეგად, კონკრეტული ზიანის მიღებისა. ასეთი შეგრძნებების არარსებობის პირობებში კი უფლების დაცვის საჭიროებაც არ არსებობს. გარდა ამისა, სწორედ უფლების მატარებელს აქვს ობიექტურად მეტი ინტერესი, მოტივაცია უფლების დასაცავად და, როგორც წესი, მეტი ინფორმაცია (მტკიცებულებები), რომელიც საკუთარი უფლების დაცვაზე და სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე პოტენციურად მოახდენს გავლენას“.

1.2 ჯგუფებზე/უმცირესობებზე გამომხატული პოზიციის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2014 წელს მიიღო სასამართლოს არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების სამართლებრივ სტატუსისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საფუძვლიანად შეცვალა ქმედუნარობის ინსტიტუტი და გააუმჯობესა ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა.³ საქმეზე მომხსენებელი მოსამართლე იყო კანდიდატი ლალი ფაფიაშვილი.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ფაქტები: გასაჩივრებული ნორმების თანახმად, „ჯკუასუსტობის“ ან „სულით ავადმყოფობის“⁴ გამო ქმედუნაროდ ცნობილ პირებს ეზღუდებოდათ :

- თავისი ნებით და მოქმედებით შეეძინათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;
- შესულიყვნენ ქორწინებაში;
- მიემართათ სასამართლოსთვის ქმედუნარიანად აღიარების თაობაზე.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული ნორმები ბლანკეტურად, ინდივიდუალური ნიშნების გათვალისწინების გარეშე, უზღუდავდნენ ავტონომიას ქმედუნაროდ გამოცხადებულ პირებს, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე კონსტიტუციურ დებულებას, მათ შორის **პიროვნების თავისუფალი განვითარების** უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმები და ფუნდამენტურად შეცვალა „ქმედუნარიანობის“ ინსტიტუტის არსი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- „სადავო რეგულირება არსებითად ცვლის პირის სამართლებრივ სტატუსს და იწვევს მძიმე სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს. პირი ფორმალურად განუსაზღვრელი ვადით ითვლება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ, პრაქტიკულად, სრულად ხდება დამოკიდებული თავის მეურვეზე და ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან“.
- „ქმედუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რაც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. პირი სრულად კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას. მეტიც, ქმედუნარიანობის ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, პირის უფლებაში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად შემზღვევლ საშუალებას“.

სამართლებრივი საკითხი: ჰომოსექსუალიზმი, როგორც სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის აკრძალვის საფუძველი.⁵

ფაქტები: მოსარჩელები სადავოდ მიიჩნევდნენ საკანონმდებლო რეგულაციას, რომლის თანახმადაც, ჰომოსექსუალიზმი მიეკუთვნებოდა შიდსის ისეთ რისკ ჯგუფს, რომელსაც ეკრძალება სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ მეორე კოლეგიამ, მოსამართლე ლალი ფაფიაშვილის მონაწილეობით, საკანონმდებლო რეგულაცია არაკონსტიტუციურად მიიჩნია კონსტიტუციით გარანტირებულ, თანასწორობისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით. **საქმეზე მომხსენებელი მოსამართლე იყო კანდიდატი ლალი ფაფიაშვილი.**

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე:

⁴ შენიშვნა: ტერმინებს „ჯკუასუსტობას“ და „სულით ავადმყოფობას“ კანონმდებელი იყენებდა საკანონმდებლო აქტებში. ეს ტერმინები გვხვდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (2015 წლის 1 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) მე-12 მუხლის მე-4 ნაწილშიც.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვლის 2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუაშვილი და გოჩა გაბოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართლებრივი საკითხი: პირთა არსებითი თანასწორობა სისხლის დონაციის მიზნებისთვის

- „სისხლის დონორად ყოფნის სურვილი უკავშირდება ადამიანის პიროვნული ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზაციას, რისი ინტერესი და ფაქტობრივი შესაძლებლობა თანაბრად გააჩნიათ პირებს მათი სექსუალური ქცევებისა და ორიენტაციის მიუხედავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ დიფერენცირებული პირები, განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაში არსებითად თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენენ“.⁶
- „განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა არსებითად თანასწორ პირებს შორის, ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად“.

სამართლებრივი საკითხი: პირის თვითიდენტიფიკაცია დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით
სასამართლომ განმარტა, რომ:

- „ვინაიდან კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, ის, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“.

სასამართლომ დაადგინა, რომ

- „აივ-ვირუსის იდენტიფიცირება „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევებით შესაძლებელია. შესაბამისად, სარისკო სქესობრივი ქცევის მქონე ჰომოსექსუალი მამაკაცების დისტანცირება დონაციის პროცესისგან განუსაზღვრელი ვადით, ასევე არ პასუხობს პროპორციულობის მოთხოვნებს“.

1.3 ბახმაშრებული საქმეები

- გიორგი უგულავას და „კაბელების საქმე“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, 2016 წლის 15 ივნისის საოქმო ჩანაწერით, წარმოებაში მიიღო რუსთავი 2-ის, შპს „ტელეკომპანია საქართველოს“, გიორგი უგულავას და ე.წ. „კაბელების“ საქმეზე მსჯავრდებულთა კონსტიტუციური სარჩელები.⁷ გიორგი უგულავას და ე.წ. „კაბელების“

⁶ იქვე, II-20.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 15 ივნისის №3/5-1/679, 720, 721, 740,764 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელის N679), „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები N720 და N721) საქართველოს მოქალაქეები - გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალაგვიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები N740 და N764)“

საქმეზე დავის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის (მითვისება და გაფლანგვა) კონსტიტუციურობის შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ სადავო ნორმა არის ბუნდოვანი, განუჭვრეტადი და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნებს. აღნიშნულ ორ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა, მნიშვნელოვანია კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის პოზიცია აღნიშნულ საქმეთა განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

კანდიდატმა, 2016 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გიორგი უგულავას და ე.წ. „კაბელების“ საქმიდან თვითგანრიდების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

კანდიდატი შუამდგომლობაში უთითებდა:

- „ხსენებულ საქმეთა განხილვის პროცესში მოსარჩელე მხარემ დაუსაბუთებლად, თუმცა არაერთხელ განაცხადა მოსამართლეთა ნაწილის, მათ შორის, მისი [ლალი ფაფიაშვილის] მიკერძოებულობის შესახებ“.
- ლალი ფაფიაშვილის მოსაზრებით, „მოსარჩელეთა განცხადებებმა კამპანიური ხასიათი მიიღო, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში 2016 წლის 28 აგვისტოს გასული სიუჟეტი. მოსამართლის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახის წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არასდროს გამოუყენებიათ და სიუჟეტში მითითებულ საქმეზე გამოძიება სწორედ ოჯახის წევრის განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა და დასრულდა 2016 წლის იანვარში (მაშინ, როდესაც ამ სარჩელების ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირებულიც კი არ იყო), სიუჟეტი წარიმართა იმგვარად, რომ მაყურებელს იქ მოყვანილი გარემოებები მასზე (იგულისხმება მოსამართლე ფაფიაშვილი) სავარაუდო ზეწოლის საშუალებად აღექვა.“

კანდიდატი მიიჩნევდა, რომ ასეთ პირობებში ლოგიკური იქნებოდა მოსარჩელეთა მიერ მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება, თუმცა ის ფაქტი, რომ ამგვარი შუამდგომლობა მათ არ დაუყენებიათ, კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, რომ ისინი მოსარჩელე მხარის ცალკეული წარმომადგენლების პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ცდილობენ სასამართლოს დამოუკიდებლობის თემით მანიპულირებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, კანდიდატ, ლალი ფაფიაშვილის შუამდგომლობა თვითგანრიდებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.⁸

პლენუმმა განმარტა:

- „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმში მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ საინფორმაციო წყაროს მეშვეობით მოსამართლის მიმართ გაჟღერებული ნეგატიური დამოკიდებულება თავისთავად ვერ გახდება მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მოსარჩელის მიერ ან მედიის საშუალებით დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელება ზოგადად ვერ გახდება მოსამართლის აცილების ან/და თვითგანრიდების საფუძველი. შესაბამისად, შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.“

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება N3/1/740/764 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლოხუანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

1.4 განსხვავებული/თანმხვედრი აზრი

სამართლებრივი საკითხი: სიცოცხლის უფლება. ღვიძლის ტრანსპლანტაციის საქმე.

ფაქტები: მოსარჩელე დაავადებული იყო ბადი ქიარის სინდრომით. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და პროგრესირების გამო საჭიროებდა მოკლე ვადაში ღვიძლის ტრანსპლანტაციას, რათა თავიდან აეცილებინა სიცოცხლისთვის საშიში შედეგები. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციის ჩატარება საქართველოს საზღვრებს გარეთ უკავშირდებოდა დიდ თანხებს, რომელიც არ გააჩნდა, ხოლო საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ორი გზა არსებობდა: გვამური დონაცია და ორგანოს აღება ცოცხალი დონორისაგან. მისი განმარტებით, ტექნიკური თუ ლოჯისტიკური პრობლემების გამო, საქართველოში არ ტარდებოდა გვამური დონაციის ოპერაციები, რის გამოც მისთვის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ გზას, ცოცხალი დონორისაგან ორგანოს გადანერგვა წარმოადგენდა. სადავო ნორმა კი („ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი) განსაზღვრავდა პირთა წრეს, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ცოცხალი დონორები. მოსარჩელე უთითებდა, რომ კანონის ამ ამომწურავი ჩამონათვალიდან, კანონით განსაზღვრულ პირთა წრიდან, სამედიცინო თვალსაზრისით, მისთვის არ აღმოჩნდა ხელმისაწვდომი არც ერთი დონორი. ამიტომ, მიიჩნევდა მოსარჩელე, სადავო ნორმა მას, ისევე როგორც ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებს, ართმევდა შესაძლებლობას, დონორი მოეძია კანონით განსაზღვრულ პირთა წრის გარეთ, ნათესაური ან ემოციური კავშირის მქონე სხვა პირთა შორის და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სიცოცხლის უფლებას. მოსარჩელე ასევე ითხოვდა სადავო ნორმის შეჩერებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო განსახილველად და შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საბოლოოდ, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ ცვლილებები შევიდა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონში და მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი პრობლემა აღმოიფხვრა, რაც გახდა საქმის შეწყვეტის საფუძველი.⁹ თუმცა, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის საინტერესოა, კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის თანმხვედრი აზრი სადავო ნორმების შეჩერების საკითხთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის საოქმო ჩანაწერი სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე.¹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა აღნიშნა:

პლენუმმა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა საქართველოს პარლამენტის პოზიციაზე, ნორმის შეჩერებით მომდინარე ადამიანის ორგანოთა ვაჭრობის საფრთხესთან დაკავშირებით. თუმცა, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ

- „ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ ღირებულებას, რომლის გარეშე საფუძველი ეცლება ფაქტობრივად ყველა კონსტიტუციურ უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის N 3/4/682 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 25 ნოემბრის N 3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსარჩელის ჯანმრთელობის შეუქცევადი გაურესება, მათ შორის, გარდაცვალება. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ ქმნის ისეთ საფრთხეს, რის გამოც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა ეფიქრა, რომ სადავო ნორმის მოქმედების საჯარო ინტერესი ამეტებს მოსარჩელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესს.“

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა შეაჩერა არა სრულად ნორმის, არამედ მისი გარკვეული შინაარსის მოქმედება. კერძოდ, შეჩერდა ნორმის იმ შინაარსის მოქმედება, რომელიც „ცოცხალ დონორთა წრიდან, რომელთაგან დაშვებულია ღვიძლის აღება, გამორიცხავს(და)ს რეციპიენტთან ემოციურ კავშირში მყოფ პირს“.

კანდიდატი ლალი ფაფიაშვილი და მისი კიდევ ერთი კოლეგა მოსამართლე (ოთარ სიჭინავა) დაეთანხმნენ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხვა წევრებს ზოგადად ნორმის შეჩერების აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ნორმის შეჩერება უფრო ვიწრო და კონკრეტული შინაარსით უნდა მომხდარიყო. კერძოდ, კანდიდატი მიიჩნევდა, რომ რეციპიენტთან ემოციური კავშირი იყო სუბიექტური კრიტერიუმი და მისი დადგენისას არსებობდა შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღები შესაბამისი ორგანოს მოეტყუებინათ. ამ გარემოებაზე დაყრდნობით კი კანდიდატი თვლიდა, რომ

- „შესაძლებელია გაზრდილიყო გარეშე პირთა მხრიდან ფინანსური დაინტერესების და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის პოტენციური საფრთხე“.

ამიტომ, კანდიდატი თანმხვედრ აზრში უთითებდა:

- „მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების სიცოცხლის უფლების დაცვის პრაქტიკულად და რეალურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე სადავო ნორმის შეჩერება მხოლოდ იმ რეციპიენტთა მიმართ, ვისი სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ღვიძლის გადანერგვა და არ ჰყავთ დონორი [ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამედიცინო ჩვენების, პოტენციური დონორის სურვილის არარსებობის გამო] სადავო ნორმით განსაზღვრულ პირთა წრეში“.

კანდიდატი მიიჩნევდა, რომ ემოციურ კავშირში მყოფი პირი დონორი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღვიძლის გადანერგვის საჭიროების მქონე პირის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ღვიძლის გადანერგვა და არ ჰყავდა დონორი სადავო ნორმით ამომწურავად ჩამოთვლილ პირთაგან (გარკვეულ ნათესაურ კავშირში მყოფი პირები).

- **ტარიელ ფოცხვერიას საქმე¹¹**

ფაქტები: მოსარჩელე, ტარიელ ფოცხვერია, სადავოდ მიიჩნევდა სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველს. მისი პოზიციით, დისკრიმინაციული და მისი ღირსების შემლახველი მოპყრობა იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის ბრძანებით დადგენილი წესი, რომელიც სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველად განიხილავდა

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის №2/15/691 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტარიელ ფოცხვერია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიან სიმსივნეს, IV კლინიკური ჯგუფით განსაზღვრული კატეგორიას, თუ ის დადასტურებულია ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევებით. ტარიელ ფოცხვერია ამტკიცებდა, რომ მას დადგენილი ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნის მეოთხე სტადიის დიაგნოზი, თუმცა არა ჰისტომორფოლოგიური, არამედ ციტოლოგიური გამოკვლევით, რაც მისი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

ფოცხვერიას მტკიცებით, ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევის ჩატარება, მის დაუძღვრებულ მდგომარეობაში, იყო სიცოცხლისთვის საშიში. ამიტომ მოსარჩელე ითხოვდა ნორმის გაუქმებას, ხოლო გადაწყვეტილების მიღებამდე - სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ, ფოცხვერიას უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და, შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზეც. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა არ ზღუდავდა მის უფლებებს, ამასთან ფოცხვერიას ჰისტომორფოლოგიური კვლევით ერთხელ უკვე დადგენილი ჰქონდა სიმსივნის ის სახე, რომელიც სადავო ნორმით სასჯელისგან გათავისუფლების მოთხოვნის საფუძველს აკმაყოფილებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ იყო შესაბამისი სუბიექტი, ვისაც საკონსტიტუციო სასამართლოში ამ ნორმების გაუქმებაზე დავა შეეძლო. წინამდებარე საქმეში საინტერესოა კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის და მისი კოლეგა მოსამართლის განსხვავებული აზრი.

კანდატი ლალი ფაფიაშვილი მიიჩნევდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის ხედვა სადავო ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით იყო ლოგიკური, თუმცა ნორმას ისეთი განმარტების რესურსიც ჰქონდა, რაც მოსარჩელის უფლებების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებდა. კანდიდატი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს სარჩელი წარმოებაში უნდა მიეღო, ხოლო, გადაწყვეტილების გამოტანამდე სადავო ნორმა, გარკვეული შინაარსით უნდა შეეჩერებინა.

კანდიდატი უთითებდა, რომ სადავო ნორმა არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოთხოვნებს და იყო ორაზროვანი, რადგან:

- „სადავო ნორმა არ აკონკრეტებს ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა სავალდებულოა სიმსივნური დაავადების პირველად კერასთან მიმართებით, თუ ასევე მეორად კერებთან მიმართებითაც; სავალდებულოა თუ არა აღნიშნული კვლევის ჩატარება მაშინაც, როდესაც პირველადი კერის ავთვისებიანი ხასიათი ჰისტომორფოლოგიურად დადასტურებულია და პაციენტს ჩაუტარდა ქირურგიული მკურნალობა, თუმცა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ გამოვლინდა ე.წ. მეტასტაზები“.

კანდიდატი ასევე მიიჩნევდა,

- სადავო ნორმით გათვალისწინებული დაავადების [ავთვისებიანი სიმსივნის მეოთხე კლინიკური ჯგუფის] დადასტურება არ წარმოადგენდა პირის გათავისუფლების უპირობო საფუძველს, ვინაიდან კომისია მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხის განხილვისას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად ითვალისწინებდა ასევე საფრთხეებსაც. აღნიშნულის მიუხედავად, კანდიდატის მოსაზრებით, სადავო ნორმა ავტონომიურად იწვევდა მოსარჩელისათვის გამოუსწორებელ შედეგებს. კერძოდ, „სადავო ნორმა მოსარჩელეს უსპობს შესაძლებლობას დაისვას მისი გათავისუფლების საკითხი, როდესაც მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია, სადავო ნორმით განსაზღვრული დაავადების ჰისტომორფოლოგიური წესით ვერიფიკაცია. შესაბამისად, სადავო ნორმა მოსარჩელეს არ უტოვებს შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით შესწავლილ იქნეს მისი გათავისუფლების მიზანშეწონილობა“.

გემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, კანდიდატმა დაასკვნა, რომ სადავო ნორმის შეჩერებით საფრთხე არ შეექმნებოდა საჯარო ინტერესებს, მისი შეჩერება არ იქნებოდა ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის გადამწყვეტი კომისისთვის დაუსაბუთებელი განცხადებებით მიმართვის ან/და შედა-

რებით დაბალი ხარისხის მქონე კვლევებით ვერიფიცირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების უპირობო საფუძველი. კანდიდატის მოსაზრებით:

- სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, „მხოლოდ შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს, ჰქონოდათ თანაბარი წვდომა საქართველოს კანონმდებლობით ყველა თავისუფლებაშემზღუდული მსჯავრდებულისათვის მინიჭებული სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტზე და მათი საკითხის კომისიის მიერ არსებითად განხილვისადმი, დაავადების ავთვისებიანობის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევებით დადასტურების არარსებობის ფორმალური კრიტერიუმის გამო ვადამდე გათავისუფლების საკითხზე მექანიკურად უარის თქმის გარეშე.“

ამიტომ, კანდიდატი არ ეთანხმებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილებას და მიიჩნევდა, რომ

- „საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეჩერებინა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის განსაზღვრის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს ჰისტომორფოლოგიურ კვლევას, როდესაც აღნიშნული კვლევის ჩატარება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის და დაავადების ლოკალიზაციის/სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია.“

2.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება

3.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1996-2000 წლებში ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის ჯერ უფროს, ხოლო შემდეგ წამყვან სპეციალისტად. 2000-2001 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი, 2001-2003 წლებში კი - პარლამენტის თავმჯდომარის პირველი თანაშემწე. 2003-2004 წლებში იგი იკავებდა საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის პროტოკოლის განყოფილების გამგის თანამდებობას.
- 2004-2007 წლებში კანდიდატი ლალი ფაფიაშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი. .
- 2007-2017 წლებში ქალბატონ ლალი ფაფიაშვილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა ეკავა, მათ შორის 2016-2017 წლებში იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.
- 1998 წლიდან კანდიდატი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2011 წლიდან დღემდე იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.
- 2004-2014 წლებში ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი იყო სხვადასხვა კომისიის/საბჭოს წევრი, კერძოდ: ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2004-2007), ორგანიზაცია „პარლამენტარები გლობალური ქმედებებისათვის“ (აშშ) გამგეობის წევრი და „მშვიდობის და დემოკრატიის პროგრამის“ ხელმძღვანელის მოადგილე (2005-2007), ვილტონ პარკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი (2005-2007), ქალ პარლამენტართა ქსელის GlobalPOWER (აშშ) წევრი (2006-2007), რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი (2006-2007), სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისიის წევრი (2006-2007), ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე (2006-2014), ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი (2006-2011), ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრი (2008-2011), საქართველოს დელეგაციის წევრი ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ad hoc კომიტეტში (CAHVIO) (2009-2011).
- 2017 წელს ლალი ფაფიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატების წარსადგენ კონკურსში.¹ საქართველოს მთავრობამ მისი კანდიდატურა წარუდგინა ევროპის საბჭოს, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ არჩევანი სხვა კანდიდატზე შეაჩერა.

¹ ფაფიაშვილი, ალანია, სიჭინავა, ბაჩიაშვილი - სტრასბურგის მოსამართლეობის კანდიდატები, ხელმისაწვდომია <http://bit.ly/2GUo3wJ>

2. მიღებული ზილდო / სტიპენდია

- კანდიდატი არის ახალი ორლეანის საპატიო მოქალაქე;
- კანდიდატ ლალი ფაფიაშვილს 2018 წელს მიღებული აქვს მაქს პლანკის საზოგადოების სტიპენდია (1 აგვისტო - 1 სექტემბერი).
- 2013 წელს მიღებული აქვს DAAD სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია (1 ივლისი - 30 სექტემბერი).
- 2005 წელს ქალბატონ ლალი ფაფიაშვილს გადაეცა შვეიცარიის მთავრობისა და შვეიცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ერთობლივი ყოველწლიური ჯილდო „შვეიცარიის პრიზი საერთაშორისო ურთიერთობებში ლიდერობისათვის“.

4.

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.
- სასამართლო დავებში კანდიდატი არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- 2004-2007 წლებში ქალბატონი ლალი ფაფიაშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ პარტიული სიით.¹
- კანდიდატის კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან არ დგინდება.

¹ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია <http://bit.ly/2lWFpBi>

5.

კანდიდატის საჯარო აქტივობები / კოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე, თუმცა იგი არ აფიქსირებს საჯარო მოსაზრებებს მის გვერდზე.

2. მაია ვაჩაძის საჯარო განცხადებები

2.1. 2016 წლის 29 ივლისს ლალი ფაფიაშვილის და საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი სხვა მოსამართლის საჯარო მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოს მახინდელ თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს.

ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის და სხვა გახმაურებული საქმეების განხილვის კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთმა მოსამართლემ, მათ შორის ლალი ფაფიაშვილმა, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმტაიმი“ გაავრცელეს მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ.

წერილის მიხედვით, მოსამართლეები აპროტესტებენ ზოგიერთი საქმის „დაჩქარებული ტემპით“ განხილვას, როდესაც უფრო ადრე შესულ საქმეებზე, მათი თქმით, ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. განცხადებაში ასევე მითითებული იყო: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 ივლისის განცხადების შემდეგ (რომელშიც მან ისაუბრა მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტების ირგვლივ) საჭიროდ მიგვაჩნია, ე.წ. პოლიტიკური ნიშნის მატარებელ ყველა საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო დაელოდოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ამ საკითხის სრულყოფილად შესწავლას და ეს საქმეები გადაწყვიტოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადამოწმდება და დასრულდება სათანადო ორგანოების მხრიდან სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებაში მოყვანილი ზეწოლის ფაქტების სინამდვილე, რათა გამორიცხულ იქნას ყოველგვარი ეჭვები მოსამართლეების მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით“.¹

2.2. განცხადება ე.წ. „კაბელების“ და გიგი უზულაშვილს საქმის განხილვის გადადებისთან დაკავშირებით.

2016 წლის 2 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ლალი ფაფიაშვილმა გიგი უზულაშვილს და ე.წ. „კაბელების საქმის“ განხილვის გადადების შუამდგომლობა დააყენა. მას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ოთარ სიჭინავა, ზაზა თავაძე და მერაბ ტურავა დაეთანხმნენ. ისინი თვლიდნენ, რომ „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის“ მქონე საქმის განხილვა მანამ უნდა შეწყდეს,

¹ „5 მოსამართლის მიმართვა გიორგი პაპუაშვილს და რუსთავი 2-ის საქმე“ ხელმისაწვდომია <https://netgazeti.ge/news/131911/>

სანამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით პროკურატურის დასკვნა არ იქნებოდა. მათი განმარტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იქნება ეჭვები არაობიექტურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ლალი ფაფიაშვილმა მედიასთან ასევე აღნიშნა: „ჩვენი მხრიდან საბოტაჟი ვერ იქნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შაბათს, ჯერ კიდევ სასამართლოს თავმჯდომარისთვის (გიორგი პაპუაშვილისთვის) ცნობილი იყო, რომ ჩვენ ვერ ჩამოვიდოდით. გუშინ ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდით, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით გადაეტანა ეს სხდომა. ძალიან ვწუხვარ, რომ სასამართლოს ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება. პროტესტი არაფერ შუაშია. ჩვენ ვთქვით, რომ სხვა გარემოებები გვქონდა დაგეგმილი და გვინდოდა, სხდომა დანიშნულიყო არა ჩვენთვის, არამედ პლენუმისთვის მისაღებ ნებისმიერ დღეს, უბრალოდ, დღევანდელ დღეს ჩვენ ვერ ვახერხებდით სასამართლო პროცესზე ჩასვლას“.²

აღსანიშნავია, რომ საქმეების რამდენჯერმე გადადების გამო, საქმის განმხილველი მოსამართლეები კრიტიკულად შეაფასეს მოსარჩელეთა ადვოკატებმა. გიგი უგულავას ადვოკატის, ბექა ბასილიას განცხადებით: „მოსამართლეები თავაძე, ტურავა, სიჭინავა, ცაბუტაშვილი და ფაფიაშვილი არიან ბიძინა ივანიშვილის ჯიბის მოსამართლეებად ქცეული, ასრულებენ ამ ადამიანის პირდაპირ დაკვეთებს... შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიულ, კორუმპირებულ ინტერესებში არ შედის, რომ მოხდეს განხილვა გიორგი უგულავასა და ე.წ. კაბელების საქმის განხილვა, რადგანაც ამ საქმის განხილვის შემდეგ გიორგი უგულავა უპირობოდ უნდა გათავისუფლდეს“.

ე.წ. „კაბელების საქმის“ ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა ასევე მიუთითა, რომ „ეს არის სრულიად სამარცხვინო ფაქტი – მოსამართლეების ნაწილი უარს ამბობს პირდაპირ მოვალეობაზე, მართლმსაჯულების განხორციელებაზე. უკვე მეორეჯერ ხდება, როდესაც გვიბარებენ სასამართლოში... ჩვენ ჩამოვდივართ ბათუმში თბილისიდან და არც კი გვიმართავენ გადადების მიზეზს. დღეს ხუთი მოსამართლე არ გამოცხადდა, როგორც გავარკვიეთ, სასამართლოში. ეს ვნებს არა მხოლოდ ამ საქმეს და ამ ადამიანებს, ვისი სარჩელიც არის შესული, არამედ, საერთოდ, მართლმსაჯულებას და ძალიან მძიმედ მოქმედებს ქვეყნის რეპუტაციაზეც. საკონსტიტუციო სასამართლო უკვე გადაქცეულია პოლიტიკური ბრძოლის ეპიცენტრად, რაც დაუშვებელია“.³

2.3 თვითაცილების შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოში „რუსთავი 2“-ის და სხვა გახმაურებული საქმეების განხილვაზე

2016 წლის 30 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ლალი ფაფიაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეზე თვითაცილების შუამდგომლობა დააყენა. მოსამართლემ ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზეც ისაუბრა.

ლალი ფაფიაშვილის განცხადებით, „იმისათვის, რომ მხარის აშკარად და არაერთგზის გამოხატული მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება უარყოფითად არ აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ლეგიტიმაციაზე და სანდოობაზე, თავს ვალდებულად ვთვლი, მივმართო საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს ე.წ. გახმაურებული საქმეების განხილვაში მონაწილეობისგან თვითგანრიდების შუამდგომლობით“.⁴

² „ფაფიაშვილი: საკონსტიტუციო სასამართლოს ბლოკირებას არ ვაპირებთ“ 2016 წლის 2 აგვისტო ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2kp0QJn>

³ „საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის მეორედ ჩაშლა და ბრალდებები“ სექტემბერი 01, 2016 ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2kAaZoc>

⁴ „ლალი ფაფიაშვილმა ე.წ. გახმაურებულ საქმეებზე თვითაცილების შუამდგომლობა დააყენა“ 2 აგვისტო, 2016 ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2kAczGG>

ამავე ბრიფინგზე ლალი ფაფიაშვილი ასევე გამოეხმაურა გადაცემა P.S-ში გასულ სიუჟეტსაც, რომელიც შეეხებოდა მასზე განხორციელებულ შესაძლო გეწოლას:

„თავს ვალდებულად ვთვლი, გამოვეხმაურო 27 აგვისტოს გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ გასულ სიუჟეტს ჩემ მიმართ შესაძლო გეწოლასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის იყო და იქნება გამოსატყვის თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი დამცველი, თუმცა, იმავდროულად უნდა ვთქვათ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო საზოგადოების გამოყენება მოსამართლეებზე ან სასამართლოზე დაუსაბუთებელი დისკრედიტაციის მიზნით, ვფიქრობ, დაუშვებელი და მიუღებელია“.⁵

აღსანიშნავია, რომ შემდგომში, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, მოსამართლე ლალი ფაფიაშვილის თვითაცილების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.⁶

3. კანდიდატ ლალი ფაფიაშვილის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „როგორ ფიქრობთ, საკუთრების უფლების შეზღუდვა რამდენად შეესაბამება კონსტიტუციის მაშინ, როდესაც საჯარო მიზნის გარეშე, ჩემი ქონების დაგროვების შესახებ სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას ჩემივე კეთილდღეობისთვის? რამდენად მოდის ეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



მე თავს დავიზღვევდი, ყოველი შემთხვევისთვის, იმიტომ რომ არ ვარ კარგად ჩახედული თვითონ ამ საკითხში, მაგრამ ერთი, რაც შეიძლება ითქვას, აქ საუბარი იყო არა მხოლოდ კონსტიტუციაში საკუთრების მომწესრიგებელ ნორმაზე, არამედ იმ დანაწესზეც, რომელიც არეგულირებს, რამდენად შეიძლება ასეთი ტიპის გადასახადების შემოღება არსებული ფორმით. თუმცა, ამისი კონტრარგუმენტიც შემიძლია გითხრათ, რომ ეს კი იყო, დაუშვავთ, პირთა განუსაზღვრელ წრეზე გათვლილი, მაგრამ ამ სქემიდან გამოსვლის შესაძლებლობა არსებობდა, ანუ ნებაყოფლობით გამოდიხარ.“⁷



ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრი მაინტერესებს ევთანაზიასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ჩანაწერი, რომ მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით ისჯება. თუმცა, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი ერთგვარად წინააღმდეგობაში მოდის ამ ჩანაწერთან. კერძოდ, აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით განაცხადოს თანხმობა ან უარი უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას, ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის შესახებ, თუ ეს გამოწვეულია ტერმინალური მდგომარეობით ან მძიმე ინვალიდობის დროს. სად გადის აქ ზღვარი?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



ევთანაზიასთან მიმართებით, გეთანხმებით, რომ პრობლემა შესაძლოა არსებობდეს. გვაქვს ორი ტიპის ევთანაზია, პასიური და აქტიური. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პრობლემა და სტრასბურგის სასამართლოს აქვს ძალიან ბევრი გადაწყვეტილება. დასარეგულირებელი ეს, რა თქმა უნდა იქნება, რადგან შესაძლოა უფრო კონკრეტულად გაინეროს და პრობლემა არ არსებობდეს. თუმცა, სტრას-

⁵ იქვე.

⁶ „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N3/4/679, 27 დეკემბერი, 2017 <https://bit.ly/2m6B5jZ>

⁷ აღსანიშნავია, რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმა შეუძლია დასაქმებულს, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი.

ბურგის მიდგომაც კი ევთანაზიასთან საკმაოდ ფრთხილია; იმ ქვეყნებთან მიმართებითაც კი, სადაც ევთანაზიის უფლება მეტ-ნაკლებად დაცულია, არის რაღაც შემაკავებელი ბერკეტები, წინარე სტადიები. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც ევთანაზია ნებადართულია, მედიკამენტები, რომლებიც აფთიაქში იყიდება, მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით შეგვიძლია შევიძინოთ. ამის გამო იყო განაცხადებები სტრასბურგში შეტანილი. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს მითითებით, სანამ მსგავსი გადანყვეტილება იქნება მიღებული, ფსიქოლოგებთან უნდა იყოს კონსულტაციები გავლილი და ა.შ. იყო შემთხვევები, როცა მაგალითისათვის, ცოლ-ქმარი მიდიოდა შვეიცარიაში, რათა ამ სერვისით ესარგებლა. ესეც პრობლემურია, რადგან პირებს სახელმწიფო აიძულებს დამატებითი ხარჯები გაიღონ სასურველი შედეგის დასადგომად, დამატებით დისკომფორტს უქმნის. თუმცა, ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტანდარტი ცალსახა არ არის.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირაკლი ბონდარმენკოს შეკითხვა კანდიდატს: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არ გამწესდებიან უვადოდ, აქაც ხომ არ არის საჭირო იმ წესის შემოღება, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ მოქმედებს? პოლიტიკურ ნიშანსაც შეიცავს ორივე თანამდებობაზე დანიშვნის წესიდან გამომდინარე და რა განსხვავებაა? რატომ უზენაესი სასამართლოში უვადოდ და რატომ არა საკონსტიტუციო სასამართლოში უვადოდ?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



ძალიან საინტერესო საკითხია და მსჯელობა იყო იმაზეც, რატომ 10 წელი და რატომ ერთი ვადა და რატომ არა ორი ვადა. თუმცა, ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება ყოველთვის იყო, რომ ზუსტადაც ორი ვადით არჩევა უნდა ყოფილიყო ცალსახად გამორიცხული იმიტომ, რომ აქ შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლობის ნაკლები გარანტიები. რაც შეეხება იმას, რატომ უნდა იყოს ან არ უნდა იყოს უვადო, ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეც, ვფიქრობ, აქ შეიძლება უბრალოდ ვიმსჯელოთ 10 წლიანი ვადა უნდა იყოს თუ 15, მაგრამ უვადოდ დანიშვნა არ მგონია სწორი. საკონსტიტუციო სასამართლოში უვადოდ დანიშვნის არარსებობა დაბალანსებულია სხვა ბევრი ისეთი გარემოებით, როგორც უკავშირდება, მაგალითად, დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებს, უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევებს. გარანტიები, ჩვენ თუ შევადარებთ ამ ორ ინსტიტუციას, საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში, ჩემი სუბიექტური პერსპექტივიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საერთო სასამართლოების შემთხვევაში. მიუხედავად გატარებული ცვლილებებისა და იმისა, რომ დღეს კონსტიტუცია ითვალისწინებს იმპიჩმენტის პროცედურას. გარანტიები უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მაღალი ჰქონდათ, მაგრამ ამას აბალანსებდა და დაბლა სწევდა ის დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები, რომლებიც არსებობდა. მეორე გარემოება არის თვითონ პოლიტიკური საკითხი, კომპოზიციის შექმნაში პოლიტიკური აქტორების ჩართულობა. საერთო სასამართლოების შემთხვევაში შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა არის ძალიან მკაფიოდ და დეტალურად გაწერილი და დანიშვნის პროცესში პოლიტიკური სუბიექტი ბოლო ეტაპზე შემოდის. მანამდე შერჩევა ხორციელდება და უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი სტრუქტურის მიერ.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ნაზი ჰანმზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „2004 წლიდან 2007 წლამდე თქვენ იყავით პარლამენტის წევრი და შემდგომ გახდით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. როგორ მოხდა ეს? ხომ არ უქმნის საფრთხეს მოსამართლის დამოუკიდებლობას ის, რომ პარლამენტის წევრი ხდება მოსამართლე? ჩვენი კანონმდებლობით ასევე აკრძალულია, მოსამართლე იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. მოსამართლე რომ პოლიტიკური პარტიის წევრი იყოს, რამეს მიადგებოდა თუ არა ზიანი, თქვენი აზრით?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



პოლიტიკური პარტიის წევრი არასოდეს არ ვყოფილვარ. პარლამენტის წევრობის დროს ფრაქციაში შევდიოდი. პარლამენტის წევრი უპარტიოდ გახვდი. უმრავლესობის წევრი ვიყავი. თუმცა, პრობლემური უნდა იყოს არა ის, საიდან მოდიხარ, არამედ ის, რასაც აკეთებ, რამდენად შეგიძლია დამოუკიდებელი იყო, რამდენად გაქვს შესაძლებლობა მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლე-

ბიც მისაღებია. შემიძლია გითხრა, რომ ძალიან დიდი ხნის წინათაც ისეთი გადაწყვეტილებები გვაქვს მიღებული, რომლებიც, შესაძლოა, არ ყოფილიყო მისაღები.“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირაკლი შენგელიას შეკითხვა კანდიდატს: „მოსამართლის მეუღლე ან შვილი თუ კრიმინალური ავტორიტეტია, ამ შემთხვევაში რა ხდება მოსამართლის თავს? რა უნდა მოხდეს ან რა უნდა ხდებოდეს?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



რთული საკითხია და ამასაც გავყოფდი ორ ნაწილად. ერთი, ისეთი შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრი იყო ნასამართლევნი, სასჯელი მოიხადა და ამის მერე დაინიშნა ეს ადამიანი მოსამართლედ და მეორე: ამჟამად მუშაობს მოსამართლედ და მისი ოჯახის წევრი ამჟამადაც კრიმინალურ საქმიანობაში არის ჩართული. ერთი საკითხია, რამდენად სამართლიანი იქნება თვითონ ეს მოსამართლე დაიჩაგროს, მაგრამ ჩემი სუბიექტური გადმოსახედიდან, ვიცი, რომ ეს შეიძლებაარ შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ ღირებულებებს, მაგრამ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს და სუბიექტურად პრიორიტეტს მივანიჭებდი იმას, რომ ასეთი ადამიანი, რომლის ოჯახის წევრი ამჟამადაც ეწევა დანაშაულებრივ საქმიანობას, სასამართლო სისტემაში არ იყოს.“



ირაკლი შენგელიას შეკითხვა: „მოსამართლე, რომელიც ალიმენტს არ უხდის თავის შვილებს, უნდა იყოს თუ არა სისტემაში?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



პრობლემა, სავარაუდოდ, იქნება, თუნდაც იქედან გამომდინარე, როდესაც სხვას სთხოვ კანონის შესაბამისად მოქმედებას და იღებ საკუთარ თავზე ვალდებულებას, სხვა განსაჯო, შენ თვითონ უნდა გამოიჩინოდე კეთილსინდისიერებით.“



ნაზი ჰანგაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ხშირად გვემის, რომ 10 წლის ვადით არჩეულ მოსამართლეზე მეტად დამოუკიდებელია უვადოდ არჩეული მოსამართლე. ამის გარდა, სხვა რა გარანტიები არსებობს, თქვენი აზრით, რომ მოსამართლე საერთო სასამართლოების სისტემაში იყოს დამოუკიდებელი?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:



აქ მნიშვნელოვანი ისიც არის, დამოუკიდებლობასთან ერთად ეფექტურობაც არ დაიკარგოს, თავისი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელება. შესაბამისად, ამ ნაწილში, შესაძლოა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი იყოს მნიშვნელოვანი. როცა მოსამართლე უვადოდ ინიშნება, მას არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ აღარაფერი ემუქრება. შესაბამისად, თვითკონტროლის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.“




ნაზი ჰანგაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენი აზრით, როცა სასამართლო სისტემაში მუშაობს იგივე ხალხი, ვინც მუშაობდა მაშინაც, როცა ქვეყანაში იყო ნულოვანი ტოლერანტობა და არაფერი გაუკეთებიათ ამის საწინააღმდეგოდ, რა გარანტიები უნდა გვქონდეს ჩვენ, მოქალაქეებს, ხვალ პოლიტიკური ლიდერი თუ გააკეთებს იმავე განცხადებას - „ყველანი ციხეში!“ - მოსამართლეები ამას არ გაითვალისწინებენ?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:




რთულია შეფარდება, რა იყო ადრე და რა არის ახლა. არ მგონია, რაზეც თქვენ მიუთითებთ, რეალური იყოს. მოსამართლეებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლები არიან, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და კონსტიტუციაშიც გვინერია ამის გარანტიები, არ მგონია, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ამგვარი მნიშვნელობის იყოს.“

 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, რეზანა ნადარაიას შეკითხვა კანდიდატს: „ამის გამო იყო ეს თუ სხვაგვარი კანონმდებლობის, მკაცრი კანონმდებლობის, სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის ბრალი? პოლიტიკოსის მოწოდებების გამო იყო, თუ იმ დროს არსებული კანონმდებლობის? ესეც შეაფასეთ“.

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:

„აქ რამდენიმე ფაქტორია, საზოგადოება, ასევე კანონმდებლობა. ეფექტურობა რაც უფრო მეტად იზრდება, მით უფრო ნაკლებია. [...] გამოსავალი, რაც რჩება, არის საკონსტიტუციო სასამართლო-სადმი მიმართვა, თუმცა, არის საკითხები, რომლებთან მიმართებითაც საკონსტიტუციო სასამართლოს, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ვერ მიმართავ. შესაბამისად, თუ კანონი არ გაძლევს საშუალებას, ვერც ვერაფერს იზამ. კანონს ბოლომდე განზე ვერ განევ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამის შესაძლებლობას არ მოგცემს“.

 ნაზი ჭანუაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თუ დადასტურდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს ნათელმრონული კავშირი კონკურსსანთან, შეიძლება თუ არა, რომ ეს იყოს აცილების საფუძველი?“

ლალი ფაფიაშვილის პასუხი:

„ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ თქვა, რომ ნათელმრონობა არ არის საკმარისი საფუძველი აცილებისთვის. რაც შეეხება ნათესაობას, მეგობრობას და ა.შ., ამ შემთხვევაში შეგვიძლია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა გამოვიყენოთ, რომლის თანახმადაც, ის, რომ პირები ერთმანეთის ნათესავები და მეგობრები არიან, არ არის საკმარისი საფუძველი აცილებისათვის. თავისთავად, მხოლოდ ნათესაურ კავშირზე აპელირება, სხვა დამატებითი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ვფიქრობ, არასწორი იქნება.“



6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)



2008
ბინა თბილისში
108,429 ლ
(106 კვ.მ.)




2008
ბინა ბათუმში
1000 ლ
(62 კვ.მ.)



2005
ავარაკი და მიწის
ნაკვეთი მცხეთაში
5000 ლ
(810 კვ.მ.)



1993
ბინა თბილისში
38,641 ლ
(70 კვ.მ.)



2. ფინანსები

კანდიდატ ლალი ფაფიაშვილს 2007-2017 წლებში პროფესიული და აკადემიური საქმიანობის შედეგად შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 1,638,413 ლარი. შემოსავ-

ლის დიდი ნაწილი მიღებული აქვს საკონს-ტიტუციო სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების შედეგად, საიდანაც 10 წლის განმავლობაში ხელფა-სის სახით მიიღო 605,706 ლარი.



მოსამართლე ლალი ფაფიაშვილის დეკლარაციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი ფიქსირდება. პირველი გარემოება დაკავშირებულია უძრავი საკუთრების ფასის ასახვასთან. სხვადასხვა წლების დეკლარაციაში განსხვავებულ თანხებს უთითებს უძრავი ქონების ღირებულების სახით. მაგალითად, თბილისში მდებარე ბინის ღირებულების შესახებ შემდეგნაირად აქვს მითითებული ფასი: 2003 წელი - 19 500 აშშ დოლარი, 2004 წელი - 22 000 აშშ დოლარი, 2005 წელი - 23 000 აშშ დოლარი, 2007 წელი - 28 000 აშშ დოლარი. ასეთივე ფაქტი ფიქსირდება მცხეთაში მდებარე აგარაკის შემთხვევაში. 2005 წელი - 14 000 აშშ დოლარი, 2006 - 17 000 აშშ დოლარი, 2007 წელი - 22 000 აშშ დოლარი. 2018 წლის მონაცემებში კი აღნიშნულ ქონებაზე მითითებული 5000 ლარი აქვს. მოსამართლე ლალი ფაფიაშვილის მიერ მითითებული ციფრები მუდმივად იცვლება, რის შედეგადაც საბოლოო ჯამში დაუდგენელია, რეალურად რა თანხა გადაიხადა უძრავი ქონების შესაძენად.

შემდეგი ხარვეზი დეკლარაციაში მონაცემების არასახვაა. მაგალითისათვის 2008 წელს დეკლარაციის მიხედვით მოსამართლე ლალი ფაფიაშვილი არ ფლობდა უძრავ ქონებას, რადგან საკუთრების გრაფაში არ არის ასახული მონაცემები. თუმცა, 2005 წლიდან კანდიდატის საკუთრებაშია აგარაკი და მიწის ნაკვეთი მცხეთაში, 2008 წელს კი 2 ახალი უძრავი ქონება შეიძინა, ბინა თბილისსა და ბათუმში.

ასევე, ხშირია შემთხვევა, როდესაც ლალი ფაფიაშვილი იღებს სესხს, შემდგომში კი აღარ ჩანს სესხის დაფარვის ფაქტები, შესაბამისად არ ჩანს დანახარჯი, რომელიც მან გასწია.

